2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

დოკუმენტი წარმოადგენს შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. დოკუმენტში მოცემული კონკრეტული ინორმაცია საქმოქმედო გეგმის შესრულაბასთან დაკავშირებით - მიზნის, ამოცანებისა და ინდიკატორების შესაბამისად.

მიზანი - კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისთვის ზრუნვა

1.1. ამოცანა - ინსტიტუციური განვითარება

„ინსტიტუციური განვითარების“ სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ვადების დაცვით გადაიხედა და გადამუშავდა სასწავლებლის შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: „საქმისწარმოების წესი“, „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“ და „მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“. ამავე სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში, ვადების დაცვით, შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ იქნა და დაკომპლექტდა შემდეგი პოზიციები: რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.

1.2. ამოცანა - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-განვითარება

ამოცანის ფარგლებში, ვადების დაცვით მოხდა სასწავლებლის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ფორმების შევსება. ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმის შუალედური მონიტორინგის განხორციელება.

მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

2.1. ამოცანა - პროგრამების სპექტრის გაფართოება

შემუშავდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების რეგულაციები. ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით (ანგარიში 12.04.2023), დარგის სპეციალისტებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრების შედეგად, შემუშავდა 2 პროფესიული მომზადების და 1 პროფესიული გადამზადების პროგრამა. იდენტიფიცირებული/შერჩეული იქნა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირები, მომზადება/გადამზადების პროგრამების ჭრილში გაფორმდა ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, მობილიზდა/შესყიდულ იქნა მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი.

გადავადდა და მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

2.2. ამოცანა - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარება

სფეროს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, სასწავლო რესურსს დაემატა ახალი ელექტრონული სასწავლო მასალა, დამატებით აყვანილ იქნა ახალი პროფესიული მასწავლებლები, ასევე გადახედილ იქნა და დამატებით შეძენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

2.3. ამოცანა - სასწავლო პროცესის დაგეგმვა- ორგანიზების მექანიზმების გაუმჯობესება

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის და ასევე გამოვლენილი შემხვედრი საჭიროებების საფუძველზე, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედა და შეიცვალა სასწავლო გეგმაში მოდულების თანმიმდევრობა და მოდულის ბადეში კვირეული საათობრივი დატვირთვა. ასევე, გაიმართა სტუდენტური კონფერენციები, ექსტრაკურიკულური/არაფორმალური აქტივობები და მოდულების "ქართული ენა A2/B1" მასწავლებლის ინიციატივით/ორგანიზებით შემაჯამებელი ღონისძიება (25.04.2023)

რეგისტრაციის პერიოდის გადატანასთან დაკავშირებით, გადავადდა და 2023 წლის თებერვლის ნაცვლად 2023 წლის მაისის თვიდან მოხდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ახალი ჯგუფების მიღების მიზნით სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება.

მიზანი - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება

3.1. ამოცანა - პროფესიული სტუდენტების აკადემიური და კარიერული მხარდაჭერა

ახალ სასწავლო წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარდა შეხვედრები მათი უფლებების, მოვალეობების და ვალდებულებების გაცნობის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და მასთან დაკავშირებულ რეგულაციების თაობაზე.

ჩატარდა 2 ექსკურსია: მიხეილ შენგელიას საახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში (11.05.2023) და ქვათახევის ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტერში, შიო მღვიმის მონასტერსა და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში (25.06.2023).

ასევე, დასაქმების პირობების/პერსპექტივების გაცნობის, კარიერული მომსახურების მხარდაჭერის, დასაქმების შემდგომ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, პერიოდულად ხდებოდა დამსაქმებლების წარმომადგენლების შეხვედრები სტუდენტებთან.

პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის მიერ, პერმანენტულად ხდებოდა არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება, სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შორის სასწავლებელში გავრცელებული საკომუნიკაციო არხებით.

სოლიდარობის ქსელის იურისტების მიერ ჩატარებული იქნა ტრენინგი - შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, დასაქმებასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხები, შრომითი უფლებები, მატერიალურ და ზეპირსიტყვიერი შრომითი ხელშეკრულებები, დამსაქმებლისა და დასაქმებულებთა მოვალობები, უფლებების დაცვის გზები (09.02.2023);

ასევე, პერმანენტულად მიმდინარეობდა კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზის წარმოება.

3.2. ამოცანა - საგანმანათლებლო სივრცის მიღმა პროფესიული სტუდენტების მომსახურების განვითარება

„საგანმანათლებლო სივრცის მიღმა პროფესიული სტუდენტების მომსახურების განვითარების“ სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში მოეწყო მრავალი აქტივობა:

შიდსთან ბრძოლის საერთაშორის დღე, პოეზიის საღამო, საქველმოქმედო აქტივობა - ვიზიტი მოხუცებულთა თავშესაფარში, ვიზიტი გადაცემა "ექიმებში", სტუდენტების ნახატების გამოფენა, წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე, სპორტულ-გასართობი ღონისძიება ბოულინგის ცენტრში, ვიზიტი თბილისის წიგნის 25-ე საერთაშორისო ფესტივალზე, საუკეთესო დასწრების სტუდენტების წახალისება და ა.შ.

მიზანი - ადამიანური რესურსების გაძლიერება

4.1. პერსონალის მართვის და შეფასების პროცესების დანერგვა

შემუშავდა კითხვარები, ჩატარდა თვითშეფასების/შეფასების გამოკითხვა და შრომითი კმაყოფილების კვლევა, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე განხორციელდა 2 ინიციატივა.

4.2. პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა

შემუშავდა კითხვარი და ჩატარდა გამოკითხვა პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა თაობაზე. მოკვლევის საფუძველზე მასწავლებლებს ჩაუტარდათ საოფისე კომპიუტერულ პროგრამებში და Power Point-ში გადამზადების ტრენინგები; ადმინისტრაციის წევრებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა - „ინკლუზიური განათლების პრინციპები“, მასწავლებლებს შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით ჩაუტარდათ „პირველადი გადაუდებელი დახამარების“ ტრენინგი და ა.შ.

მიზანი - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

5.1. მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის განვითარება

მოხდა ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა და დამატებითი ინვენტარის შეძენა. ასევე, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, მოხდა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის უზრუნველყოფა და განხორციელდა სსიპ „საგანგბო სიტუაციების მართვის სამსახურის“ მიერ დაგეგმილი შემოწმება.

გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა დაცვის სისტემების (სიგნალიზაცია, კამერები, ელექტრონული დაშვების სისტემა) მოწყობა.

5.2. საინფორმაციო რესურსის გაძლიერება

განახლდა სასწავლებლის ვებ გვერდი. სასწავლებლის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით პრეზენტაცია და სარეკლამო ფლაერები დაიგზავნა საჯარო სკოლებში, აფთიაქებსა და სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში.

სასწავლებლის და პროფესიული განათლების შესახებ სოციალურ პლატფორმებზე მოხდა პროგრამების აღმწერი ტექსტებისა და ფოტოების გავრცელება. სოციალურ ქსელებში ფასიანი რეკლამების განთავსება.

5.3. საქმისწარმოების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა-გამოყენება

განახლდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) მომსახურების ხელშეკრულება, დაემატა 1 მომხმარებელი. ვერ მოხეხრდა დოკუმენტბრუნვის სრულად გადასვლა (ნაწილობრივ გადასულია) eFlow-ზე.

5.4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ასევე, ვადებში მოხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამჯობესება და დამატებითი კომპიუტერების, პრინტერების შეძენა. დამონტაჟებულია საკუთარი სერვერი, გამართულია ქსელი. გეგმით გათვალისწინებულ ვადებშივე მოხდა ახალი სტუდენტებისთვის სასწავლებლის დომეინზე ელექტრონული ფოსტების გახსნა.

5.5. ფინანსური მდგომარეობის შეფასება

განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედგენა (საპროგნოზო ბიუჯეტის და რეალური ბიუჯეტების დადარება).

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან წარდგენილ იქნა 2 საგრანტო განაცხადი (30.04.2023), გაფორმებულია შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები;

მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ გადავადდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ახალი ჯგუფების მიღების მიზნით სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება, რაც დაკავშირებული იყო აპლიკანტების რეგისტრაციის პერიოდის გადატანასთან.

გადავადდა და მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

ასევე, გადავადდა (ნაწილობრივ შესრულდა) „საქმისწარმოების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა-გამოყენების“ სტრატეგიული ამოცანის ქვეშ დაგეგმილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე სრულად გადასვლა (მოხდა ნაწილობრივ გადასვლა).

რეკომენდაციები:

1. სასურველია მეტად გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსები (ადამიანური/საინფორმაციო/მატერიალური);
2. საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ჩატარდეს დამსაქმებლების კმაყოფილების მოკვლევა სასწავლებლის კურსდამთავრებულების კომპეტენციების მიმართულებით;
3. სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმოს და განხორციელდეს სალექციო პროცესზე დასწრება-მონიტორინგი;
4. შემუშავდეს მასწავლებლის შეფასების წესი და დაჯილდოვების წესი;
5. გაძლიერდეს საგანმანათლებლო სივრცის მიღმა პროფესიული სტუდენტების მომსახურება, შეიქმნას სტუდენტური ჰაბი;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი იქნას სასწავლებლის ცნობადობის ამაღლების მიმართულებით ხედვა/დაგეგმილი ღონისსძიებების გეგმა;
7. დაიგეგმოს შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან;
8. განხორციელდეს დაწესებულების ვებ გვერდის განვითარება/გააქტიურება;
9. სასურველია მოხდეს კომპიუტერული ტექნიკის განახლება/დამატება;
10. გააქტიურდეს დაფინანსების ახალი წყაროების და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.